ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2023 წლის 31 ივლისი

სხდომის ოქმი №2

ქ. ახალციხე 2023 წელი, 31 ივლისი

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი ლაზარაშვილი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი
ვაჟა გაჩეჩილაძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
მარიამ მაღრაძე	დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის წარმომადგენელი

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ცირა მესხიშვილი
2. ნუგზარ თათეშვილი
3. მაკა ბერიძე
4. ვასილ კვინცხაძე
5. ომარ ჯაყელი
6. შალვა ტაბატაძე
7. მერაბ ბერიძე
8. ჯაბა ნათენაძე
9. ალექსანდრე ლომსაძე
10. ბელა ავალიშვილი
11. ნიკოლოზ ხიზაძე
12. გიორგი ბუცხრიკიძე
13. რომან მაისურაძე
14. მეგი თათეშვილი
15. ნათია ტაბლიაშვილი

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნინო რუხაძე
2. ამალია სარქისიან
3. თამარ კაპანაძე
4. ნინო ხაზალაშვილი
5. მანუჩარ გოგოლაური
6. ნონა ონიანი
7. აშოთ კავალერიან
8. გურამი ჯინჭველაძე
9. მაია გაჩეჩილაძე
10. ბიჭიკო მოდებაძე
11. ნატალი სისვაძე
12. ციური ლაფაჩი

დღის წესრიგი

1. ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;

2. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლობის პრეზენტაცია, სააგენტოს პროგრამებისა და სერვისების შესახებ.

3. საბჭოს წევრების რეკომენდაციებისა და იდეების მოსმენა;

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის, ირაკლი ლაზარაშვილის ხელმძღვანელობით სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას მერის მოადგილე ვაჟა გაჩეჩილაძე და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის წარმომადგენელი მარიამ მაღრაძე ესწრებოდნენ.

შეხვედრის დასაწყისში მარიამ მაღრაძემ საბჭოს წევრებს სააგენტოს პროგრამებისა და განხორციელებული პროექტების, ასევე ადგილობრივ დამსაქმებლებთან წარმატებული თანამშრომლობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. ასევე აქცენტი გაკეთდა სააგენტოს მხრიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და პროფესიულ კოლეჯ „ოპიზართან“ აქტიური ურთიერთობების მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე. შეხვედრაზე, თავის მხრივ,

აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელების მხრიდან გამოითქვა თანამშრომლობის გაღრმავების მზაობა.

შეხვედრაზე ასევე განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სამომავლო გეგმებზე, მოსახლეობის წინაშე არსებულ საჭიროებებზე და მათი მოგვარების გზებზე იმსჯელეს.

ყურადღება გამახვილდა მერიის მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სერვისის დანერგვის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და აღინიშნა, რომ დაახლოებით წლის ბოლოსთვის მუნიციპალიტეტს 18 ახალი ავტობუსი ეყოლება, სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში ეტაპობრივად მოხდება საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ავტობუსების შემოყვანა და მათ შორისა არის ახალციხის მუნიციპალიტეტიც. მერის თქმით 80-იანი წლების ბოლოდან აღარ უმოძრავია მუნიციპალურ საზოგადოებრივ ტრანსპორტს და მომავალი წლის იანვრის ბოლოდან უკვე, მიეცემა მუნიციპალიტეტს შესაძლებლობა საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოემსახუროს, როგორც ქალაქ ახალციხის, ისე მუნიციპალიტეტის სოფლების მაცხოვრებლებს.

შეხვედრის მთავარი განსახილველი თემა იყო - ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავების მიზნით დაწყებული მუშაობა. მერმა ისაუბრა ქალაქში არსებული კორპუსების მიმდებარე ტერიტორიებზე ქაოტურ განაშენიანებაზე და ამ მიმართულებით საჭირო სამუშაოების აუცილებლობაზე. მისი თქმით, სივრცითი განვითარების სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობით მიღწეული იქნება, ის მთავარი მიზანი, რაც დასახული აქვს მუნიციპალიტეტს ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა ისაუბრა საგზაო ინფრასტრუქტურული და წყალმომარაგების სარეაბილიტაციო პროექტებზე, მრავალსართულიანი კორპუსების ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციაზე, ახალი რეკრეაციული ზონებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე და სხვა.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე, როგორც ქალაქ ახალციხეში, ისე ადმინისტრაციულ ერთეულებში. ისაუბრა ასპინძის ქუჩაზე განხორციელებულ მასშტაბურ პროექტზე, რომლის ფარგლებშიც საავტომობილო გზას და სანიაღვრე კოლექტორს ჩაუტარდა კაპიტალური რეაბილიტაცია. ასევე, მოასფალტდა მრავალსართულიანი კორპუსების ეზოები, მოეწყო მიერთებები, საკანალიზაციო ჭები, ტროტუარები, შემზღუდავი მოაჯირები და საგზაო მონიშვნები. სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმდებარე დასახლების მაცხოვრებლები მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით სარგებლობენ.

გარდა ამისა, მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს ქალაქ ახალციხეში რაბათის უბანშიც, სადაც ყაზბეგის ქუჩას და აქ არსებულ ხიდს უტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. მერმა ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელებული და მიმდინარე საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებაც ისაუბრა. ესენია: საყუნეთი-ტყემლანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, სოფელ მუგარეთში შიდა საავტომობილო გზის

რეაბილიტაცია, ქალაქ ვალეში, მაჭარაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია, სოფლების გიორგიწმინდისა და ფერსის დამაკავშირებელი ე.წ. ზედა გზის რეაბილიტაცია, სოფელ საძელისა და ყულალისის გზის რეაბილიტაცია და სხვა. აღნიშნა, რომ ქალაქის შიდა ქუჩების რეაბილიტაციის მიზნით დაწყებულია საპროექტო სამუშაოები.

საბჭოს წევრები ქალაქ ახალციხეში წყალმომარაგების მასშტაბური პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას გაეცნენ, რომელსაც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს. ასევე აღინიშნა, რომ ქალაქის ცენტრალურ უბანში წყალსადენი სისტემის მოწესრიგების მიზნით პროექტირება დაწყებულია და რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ღირებულების მასშტაბური პროექტის განხორციელება იგეგმება.

რაც შეეხება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოვლა-პატრონობისა და დასუფთავების ღონისძიებებს, მუნიციპალიტეტის მიერ ტენდერის შედეგად იქნა შეძენილი სხვადასხვა ტექნიკა, რომელიც მნიშვნელოვანი და აუცილებელია ქალაქისათვის. კერძოდ, მტვერსასრუტი, სარწყავი მანქანა, თოვლის საწმენდი მანქანა და სხვა. აღნიშნული ტექნიკა მომავალში მნიშვნელოვნად გააადვილებს შესაბამისი სამსახურების მხრიდან საჭირო ღონისძიებებისა და სამუშაოების ჩატარებას ყველა სეზონზე.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სკვერების და სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციაც. მერმა მადლობა გადაუხადა კოლეჯ „ოპიზარის" დირექტორს ბელა ავალიშვილს, რადგან მუნიციპალიტეტს კოლეჯის საკუთრებაში არსებული თავისუფალი ტერიტორია გადაეცა რუსთაველის ქუჩაზე, სადაც მალე ახალი სკვერი მოეწყობა და ქალაქს კიდევ ერთი რეკრეაციული და დასასვენებელი ადგილი შეემატება. პროექტის ფარგლებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე იგეგმება სპორტული მოედნის, დასასვენებელი სივრცისა და პატარებისათვის გასართობი მოედნის მოწყობა; დასასვენებელი სკვერისა და სპორტული მოედნის მშენებლობა დასრულდა ქალაქ ვალეში; ახალი სპორტული მოედნები მოეწყო სოფელ სხვილისში; ქალაქ ახალციხეში ტაბიძის ქუჩაზე და რუსთაველის ქუჩა №125-ის მიმდებარედ; ასევე, სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ სვირში, ღრელში, მინაძეში, ზიკილიაში, ელიაწმინდაში და ვალეში, მეორე შახტის დასახლებაში. ჯამში, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით 11 სპორტული მოედნის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება და ამ მიმართულებით სამუშაოები გაგრძელდება მომავალშიც.

მერმა ისაუბრა ქალაქ ახალციხის სასპორტო სკოლის რეაბილიტაციისა და სპორტული არენის მოწყობის შესახებ. მისი თქმით, იგეგმება 200-300 მაყურებელზე გათვლილი სპორტული არენის მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება, სხვადასხვა ჩემპიონატებისა და სპორტული შეჯიბრებების ჩატარება. რაც შეეხება, ცენტრალურ სტადიონს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რათა მათი ჩართულობით მოხდეს სტადიონის რეაბილიტაცია.

მერმა ისაუბრა აწყურის კულტურის სახლის დარბაზში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებზეც, ასევე ყურადღება გამახვილდა ქალაქ ახალციხეში და ქალაქ ვალეში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სადარბაზოების

რეაბილიტაციაზე. აღინიშნა რომ ქალაქ ვალეში 5 კორპუსის სარეაბილიტაციო პროექტი უკვე დასრულებულია.

თავის მხრივ, „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები, თავიანთი იდეები და წინადადებები გააცნეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს. ირაკლი ლაზარაშვილმა მათ მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

საბჭოს წევრმა, **მერაბ ბერიძემ,** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მისასალმებელია ქალაქში ამდენი ახალი დასასვენებელი სკვერისა თუ რეკრეაციული ზონის მოწყობა, თუმცა მათი უმრავლესობა არის საცხოვრებელი კორპუსების ეზოებში ან მიმდებარედ, სადაც ღამის საათებში ადგილი აქვს ხმაურს, სკამების გადაადგილების ფაქტებს, ხშირია დაბინძურებისა და დაზიანების შემთხვევები. მისი თქმით, ყურადღება უნდა მიექცეს ამ პრობლემებს და აუცილებელია იყოს მკაცრი რეაგირება მსგავს შემთხვევებზე, რათა შენარჩუნებული იქნას აღნიშნული ინფრასტრუქტურა.

მუნიციპალიტეტის მერმა ქალაქის ქუჩებში, ცენტრალურ მაგისტრალებზე, სპორტულ და რეკრეაციულ სივრცეებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ვანდალური შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები დამონტაჟებაზე ისაუბრა, მისი თქმით, ამ დროისთვის ძალიან ბევრი კამერა არის დამონტაჟებული და კიდევ იგეგმება დამატება, შესაბამისად გამკაცრდება რეაგირება მსგავს ქმედებებზე.

საბჭოს წევრმა, **ცირა მესხიშვილმა** ყურადღება გაამახვილა შშმ პირების საჭიროებებზე და ადაპტირებული ინფრასტრუქტურის აუცილებლობაზე. მან წინადადებით მიმართა მერს ქალაქში მოეწყოს რაიმე გასართობი ატრაქციონი შშმ პირებისათვის. მისივე თქმით, პროექტის განხორციელებაში ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად, შესაძლებელია არასამთავრობო სექტორის ჩართვაც და ერთობლივი ძალებით შეიქმნას მათთვის გასართობი სივრცე.

საბჭოს წევრმა **ნიკოლოზ ხიზაძემ,** ქალაქ ვალეში არსებულ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება, აღნიშნა, რომ მთაში თიბვის სეზონი იწყება და ძლიერი წვიმებისა და უამინდობის გამო დაზიანებულ გზაზე რთულია გადაადგილება ტრანსპორტისათვის. მან მუნიციპალიტეტის მერს მოსახლეობის თხოვნა გადასცა, რაც შეიძლება უმოკლეს დროში მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა და მძიმე ტექნიკის საშუალებით მოსწორდეს დაზიანებული მონაკვეთები.

ნიკოლოზ ხიზაძემ, ასევე დადებითად შეაფასა ქალაქ ვალეში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები - სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა, შიდა გზების მოწესრიგება, შენობების ფასადების და სადარბაზოების რეაბილიტაცია და სხვა. ასევე დაინტერესდა, გაგრძელდება თუ არა შიდა გზების მოწყობა, ასევე თამარ მეფის ქუჩაზე მოსახლეობის თხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია თუ არა სპორტული მინი მოედნისა და სკვერის მოწყობა.

მერის თქმით, ვალის მთასთან დამაკავშირებელი გზის მოწესრიგება უახლოეს ხანში მოხდება, ასევე თამარ მეფის ქუჩაზე მოეწყობა ახალი სპორტული მოედანი, ეტაპობრივად გაგრძელდება შიდა გზების რეაბილიტაციაც, იგეგმება ჭავჭავაძის ქუჩისა და რამდენიმე შიდა გზის მოწყობა. აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები მაჭარაშვილის ქუჩაზეც, ასევე ვალეში ამ ეტაპზე 2 სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია მიმდინარეობს და სამუშაოების დასრულების შემდეგ სარწყავი წყლის პრობლემა გადაიჭრება.

საბჭოს წევრმა **ვასილ კვინცხაძემ,** ქალაქში, ღამის საათებში ხმაურის გამო შექმნილ პრობლემაზე და კონტროლის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. როგორც ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, ამ კუთხით გაკონტროლების რესურსი ამ ეტაპზე მერიას არ აქვს, თუმცა მიმდინარეობს მუშაობა სამოქმედო გეგმაზე, რა შეიძლება გაკეთდეს პრობლემის მოსაგვარებლად.

იგივე საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა საბჭოს წევრმა **ომარ ჯაყელმაც,** მისი თქმით თამარაშვილის ქუჩაზე, კვების ობიექტებიდან ღამის საათებში გაუსაძლისი ხმაურია და უნდა მიექცეს ყურადღება. მან ასევე, დადებითად შეაფასა თამარშვილის ქუჩაზე მრავალსართულიან კორპუსებში სადარბაზოების რეაბილიტაცია და მერს მოსახლეობის სახელით მადლობა გადაუხადა განხორციელებული პროექტისათვის. ისაუბრა მიქუტიშვილის ქუჩაზე, მინერალურ წყლებთან მისასვლელი გზის და სასაფლაოების ტერიტორიების მოწესრიგებაზე. მერმა, ირაკლი ლაზარაშვილმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში შექმნილია და ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი", რომლის დაქვემდებარებაში არის 5 სასაფლაო, უახლოეს დღეებში დაიწყება სასაფლაოების ტერიტორიების მოწესრიგება და უხვი წვიმების გამო გაზრდილი ბალახის გათიბვა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის სამუშაოები სააღდგომოდაც იქნა ჩატარებული და წლობით ნაგროვები ნარჩენებისგან გაიწმინდა სასაფლაოები.

საბჭოს წევრმა **შალვა ტაბატაძემ** ქალაქში და განსაკუთრებით ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მომრავლებული მაწანწალა და მიუსაფარი ცხოველების პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება. როგორც, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, ამ პრობლემის გადაწყვეტა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის ძალებით და არსებული რესურსით განიხილება მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის მოწყობა ე.წ. ფარეხის ტერიტორიაზე, თუმცა, ასევე მიმდინარეობს აქტიური მსჯელობა ინტერმუნიციპალური ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებითაც. ამ ეტაპზე კი ცხოველების გადაყვანა შესაბამისი პროცედურებისთვის (სტერილიზაცია-კასტრაცია) ხდება გორის ცხოველთა თავშესაფარში.

საბჭოს წევრმა **ჯაბა ნათენაძემ,** სოციალური ქსელში გამოკითხვის შედეგად მოსახლეობის მხრიდან გაჟღერებულ პრობლემებზე მოაწოდა ინფორმაცია მერს. მათ შორის, ისაუბრა ფარეხის გზაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისათვის კამერების დაყენების აუცილებლობაზე, მეორე შახტის დასახლებაში კორპუსების ფასადების რეაბილიტაციაზე, გვარამაძის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობაზე, დავით და კონსტანტინეს ქუჩაზე სახიდე გადასასვლელის მოწყობაზე, კოსტავას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწესრიგებაზე, თისელში გარე განათების მოწყობის გაგრძელებაზე და სოფელთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის

დასრულებაზე, ასევე დაინტერესდა როდის ამოქმედდება ცენტრალურ პარკში ბავშვთა გასართობი ატრაქციონი.

სოფელ თისელთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მერმა აღნიშნა, რომ უკვე განხორციელებულია პროექტის ორი ეტაპის სამუშაოები და დარჩენილია მესამე დამამთავრებელი ეტაპი, დაახლოებით 3 კილომეტრიანი მონაკვეთი, რომლის მოწყობა შესაძლოა წელსვე დაიწყოს. რაც შეეხება, გარე განათებას, ამ მიმართულებითაც სამუშაოები პრაქტიკულად დასრულებულია და თუ სადმე დამატების საჭიროება დგას მოსახლეობის თხოვნა მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება. ფარეხის გზაზე ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მონტაჟთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ტექნიკურად შეუძლებელია, რადგან ტერიტორიაზე არ არის ინტერნეტის ქსელი. აღნიშნულ მონაკვეთზე სიჩქარის კონტროლი შეიძლება სექციურად გაკონტროლდეს განვლილი მანძილის მიხედვით, ახალციხის შესასვლელიდან ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიამდე.

საბჭოს წევრმა **ალექსანდრე ლომსაძემ**, კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება თაბუკაშვილისა და მებაღიშვილის ქუჩების კვეთაზე, ერთ-ერთ მშენებარე სახლში არსებულ ანტისანიტარიაზე და შექმნილ პრობლემის მოსაგვარებლად მერიის სამსახურების მიერ განხორციელებულ დასუფთავების ღონისძიებებზე. მან ასევე, მერს ორბელიანის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის თხოვნა გადასცა დასასვენებელი სკვერის მოწყობასთან დაკავშირებით. მერის განცხადებით, მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით და უახლოეს ხანში იქნება მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, სხდომის დასასრულს მერმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ თითოეულ წევრს აქტიურობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, რომელიც მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენაზე და არსებული პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნუგზარი თათეშვილი

2 ცირა მესხიშვილი

3 ამალია სარქისიან

4 ნინო რუხაძე

5 ზელა ავალიშვილი

6 ომარი ჯაყელი

7 ნონა ონიანი

8 აშოთ კავალერიან

9 გურამი ჯინჭველაძე

10 მაია გაჩეჩილაძე

11 ბიჭიკო მოდებაძე

12 ჯაბა ნათენაძე

13 გიორგი ბუცხრიკიძე

14 მერაბი ბერიძე

15 მაკა ბერიძე

16 შალვა ტაბატაძე

17 ნიკოლოზ ხიზაძე

18 ციური ლაფაჩი

19 ვასილი კვინცხაძე

20 თამარ კაპანაძე

21 ალექსანდრე ლომსაძე

22 ნინო ხაზალაშვილი

23 მანუჩარ გოგოლაური

24 რომან მაისურაძე

25 ნათია ტაბლიაშვილი

26 ნატალი სისვაძე

27 მეგი თათეშვილი